



# შირაკი

## SHIRAKI

გამოქვეყნდა 1937 წლიდან

დადოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№ 2 (10.010)

5-12 თებერვალი, 2022 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

## კოვიდრეგულაციების გზაგასაყარზე

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის პლანეტის მასშტაბით როგორც ინფიცირების, ისე ლეტალობის მხრივ მიმდინარე კვირის ანგარიში შემაშვოთებელი აქვს, თუმცა, ამის მიუხედავად, ევროპის ქვეყნები პანდემიასთან ბრძოლაში რეგულაციებს ამსუბუქებენ. ჯანდაცვის ექსპერტები თანხმდებიან, რომ ეს შესაძლოა დასაშვებ იყოს იმ ქვეყნებში, სადაც ვაქცინაციის ტემპი მაღალია, თუმცა, მიიჩნევენ, რომ საქართველოს პირობებში „მწვანე პასპორტის“ გაუქმება სწორი ნაბიჯი არ იყო. ჯანმრთელობის ყოველკვირეული ანგარიშის მიხედვით, მსოფლიოში, გასულ კვირას, კორონავირუსს 59 195 ადამიანი ემსხვერპლა, რაც წინა კვირასთან შედარებით 9%-ით მეტია. ორგანიზაციის გენერალური დირექტორის, ტედროს გებრესუსის განცხადებით, ნებისმიერი ქვეყნისთვის გამარჯვების გამოცხადება და დანებება ჯერჯერობით ნადრეგია, ჯანმო შემფოთებულია ზოგიერთ ქვეყანაში გავრცელებულ ნარატივთან დაკავშირებით, რომ „ომიკრონ“ ვარიანტის მაღალი გადაცემის და დაბალი სიმძიმის გამო, გავრცელების პრევენცია აღარ არის შესაძლებელი და აღარც საჭიროა“.



„მეტი გადაცემა ნიშნავს მეტ სიკვდილს. ჩვენ არ მოვუწოდებთ არცერთ ქვეყანას, რომ დაუბრუნდეს ეგრეთ წოდებულ „ლოქდაუნს“, მაგრამ მოვუწოდებთ ყველა ქვეყანას, დაიცვას საკუთარი ხალხი ყველა საშუალებების, და არა მხოლოდ ვაქცინების, გამოყენებით“, - აღნიშნა გებრესუსმა. „ის ქვეყნები, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს უფრო ფართო გახსნისთვის, ასევე დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ შეუძლიათ ხელახლა დაანესონ ზომები, საჭიროების შემთხვევაში. ასე რომ, თუ კარგად სწავდა გავსნით, სჯობს, ძალიან კარგად შეგვეძლოს მათი სწრაფად დახურვა“, - ამის შესახებ კი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საგანგებო სიტუაციების ხელმძღვანელმა, მაიკ რაიანმა განაცხადა. თუმცა, მიუხედავად ამისა, პანდემიასთან ბრძოლაში ქვეყნების ერთიანი მიდგომა ირრეგვა. სამშაბათს საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოში „მწვანე პასპორტი“ გაუქმდა, თუმცა, როგორც ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტრო აცხადებს, ეს არ ნიშნავს რომ რეგულაციები, რაც დაწესებულია ან ვაქცინაციის კამპანია უნდა შესუსტდეს. როგორც ჯანდაცვის ექსპერტი აპატი ზომიძე აცხადებს, რეგულაციების შემსუბუქება თუ იმ ქვეყნებში დაიწყეს, სადაც ვაქცინაციის მაჩვენებელი მაღალია, ეს დასაშვებია, თუმცა საქართველოში „მწვანე პასპორტების“ გაუქმება მისთვის მიუღებელია. „იმ ქვეყნებში, რომლებმაც რეგულაციები შეამსუბუქეს, ან გააუქმეს, მოსახლეობის უმეტესი ნაწილი აცრეს. ჩვენთან ორი მესამედი აუცრელია, ასე რომ, ვერანაირ ლოგიკას მე ამაში ვერ ვხედავ, რადგან დარჩენილი გვექნება რამდენიმე რეგულაცია, „მწვანე პასპორტის“ მექანიზმი კი პირველ რიგში ვაქცინაციის ნახალისებას ემსახურებოდა და არა ინფექციის კონტროლს. გასაგებია, რომ „ომიკრონის“ პირობებში „მწვანე პასპორტი“ ინფექციის კონტროლისთვისაც აღარ გამოდგება, მაგრამ, ნაცვლად იმისა, რომ მისი პირობები და აღსრულება გაგვემკაცრებინა, რეალურად ის გადაწყვეტილება მივიღეთ, რომელიც ისეთმა ქვეყნებმა გააკეთეს, სადაც ამ პასპორტებმა თავისი დანიშნულება შეასრულეს და მოქალაქეების 80%-ზე მეტი

აცრეს. ამ პირობებში ეს სწორ ნაბიჯად არ მიმაჩნია... იგივე მოხდა 1918 წლის პანდემიისას, როცა უკვე მეოთხე ტალღაზე საზოგადოება და ხელისუფლებები იმდენად დალილები იყვნენ, საერთოდ არჩიეს, რომ ამ ტალღისთვის იგნორირება გაეკეთებინათ და მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ადამიანი იღუპებოდა, ცხოვრება ისე გააგრძელეს, თითქოს არც არაფერი. დღეს საქართველოში ამ სიტუაციას ვხედავ“ - აცხადებს აკაკი ზოიძე. „ახლა „ომიკრონის“ პირობებში შემთხვევების თვალს აზრი აღარ აქვს, ამას თავიდანვე ვამბობდით. მთავარია, რომ რეაგირება მოვხდინოთ და ჰოსპიტალიზაციების და სიკვდილობის რაოდენობა გავაკონტროლოთ. შემთხვევების რაოდენობაზე საუბარსაც აზრი არ აქვს, რადგან, ვიცით, რომ უამრავი შემთხვევაა და ამის გარდა გამოვლენილიც ბევრია, 26 ათასს რომ ვამბობთ, გამოვლენილი ალბათ უკვე 60 ათასზე მეტია, აქტიური შემთხვევა 200 ათასამდეა. ქვეყნებში ის მოხდა, რაც მოსალოდნელი იყო. მთავარია, გავაკონტროლოთ ის, რომ ადამიანები საავადმყოფოში ნაკლებად მოხვდნენ. ასევე, ჩვენი მოქალაქეები მაქსიმალურად უნდა დავარწმუნოთ, რომ აიცრან, რადგან ეს ყველაფერი შესაძლოა პანდემიის ლოგიკური დასასრულისკენ წავიდეს, თუ არალოგიკურად თვისობრივად ახალი მტემი არ გამოჩნდება, მაგრამ რეალურად ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ავიცრებით და დასძენს: „პანდემია მხოლოდ აცრილებისთვის დასრულდება, აუცრელეებისთვის კი სამწუხაროდ გაგრძელდება, რისკი, რომელიც მათ ექმნებათ ძალიან მაღალი იქნება. 50-60 წლის ზემოთ ადამიანებისთვის სიცოცხლესთან და სიკვდილთან თამაში გაგრძელდება. ზაფხულისკენ, როცა ყველა ტალღა ჩაივლის, ველოდებით, რომ იმ ნაწილისთვის, ვინც ვაქცინირებულია და ბუსტერ დოზებითაა აცრილი, პანდემიური მძიმე მოლოდინები და საგანგებო სიტუაცია დასრულდება“, - თვლის ზოიძე. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი და ჯანდაცვის ექსპერტი ირაპალი ხმალაძე კი აცხადებს, რომ „მწვანე პასპორტებმა“ ვერ გაამართლა და ახლა ისევ ეპიდემიოლოგიური თავდაცვა უნდა გაავრცელოთ. „მწვანე პასპორტმა“ ვერ გაამართლა იმიტომ, რომ რეგულაციების დაცვა სახელმწიფო დონეზე არაა აყვანილი ისე, როგორც საჭიროა. ის ხალხი, ვინც ამ რეგულაციებს

არ იცავდა, გოლოს რომის ნახვით „დასჯილი“ - ზარბაზნა გადახდილი“- აზროვნს ხმალაძე, რომელიც აცხადებს, რომ ბაღმოცემით იცის, „არსებობს ხალხი, რომლებიც იმ ადამიანების „მწვანე პასპორტებს“ იყენებდნენ, რომლებიც ბარბეზოვით ჰბავდნენ“. „მწვანე პასპორტი“ მუშაობდა მხოლოდ იქ, სადაც თავშეყრის ადგილებია, მაღალია არა, ასევე არ მუშაობდა ახალი წლის შეკრებებზე და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. „მწვანე პასპორტი“ გაამართლებდა, თუ მკაცრი ზომები იქნებოდა, ეს ვერ შესრულდა, რადგან დაუსჯელობის სინდრომი განვითარდა. მეორე მომენტიცაა - ქვეყნები იმიტომაც აუქმებენ რეგულაციებს, რომ „ომიკრონს“ ძალიან ძლიერი გადამდებლობა აქვს. ახალ ვირუსს 24 მუტაციური გენი აქვს, მართალია ლეტალობა დიდი არაა, მაგრამ გადამდებლობის უნდა დავაინფიცირების რაოდენობა გავზრდებთ, შეიძლება 30-32 ათასამდე ავიდეს. მანამდე, შესაძლოა აცრების რაოდენობაც გაიზარდოს და ბუნებრივი იმუნიტეტი ჩამოყალიბდეს. ვიძახდი, რომ ჩვენი ქვეყანა ვართ, რომელსაც სჭირდებოდა, რომ ოფიციალურად მთლიანად მოსახლეობა აცრებზე ვალდებული გახდებოდა, სხვანაირად არ ავიცრებოდათ“ - დაასკვნის ირაპალი ხმალაძე. „ჰოსპიტალური სექტორის დატვირთვა, მიუხედავად იმისა, რომ ცნობილია „ომიკრონის“ შედარებით მსუბუქი მიმდინარეობა, ინფიცირებულთა რაოდენობა მაინც იზრდება, იმიტომ, რომ შემთხვევების რაოდენობა არის ძალიან მაღალი“, - ამის შესახებ რესპუბლიკური საავადმყოფოს დირექტორმა, ლეონიდა გომიძემ განაცხადა. „მატულობს იმ ადამიანების რაოდენობაც, რომლებმაც მსუბუქი მიმდინარეობის მიუხედავად, აქვე თანმხლები დაავადებები. მათ სჭირდებოდათ ჰოსპიტალიზაცია, იმიტომ რომ ზოგს სუნთქვის განსაკუთრებული რეჟიმი უნდა, ზოგს მაღალი ცხელება აქვს და ა.შ. ასე რომ, ჰოსპიტალური სექტორი მაინც იტვირთება. ამჟამად რესპუბლიკურ საავადმყოფოში არის 297 პაციენტი“, - განაცხადა გომიძემ. იმუნიზაციის მრჩეველთა ეროვნული ცენტრის ექსპერტის ხელმძღვანელმა, ივანე ჩხაიძემ კი განაცხადა, რომ მარტში ელოდება მიმართვიანობის ზრდას მულ-

ტისისტემური ანთებითი სინდრომით: „ყველაზე სერიოზული გართულება, რასაც კორონავირუსი ბავშვებში იწვევს, ეს არის მულტისისტემური ანთებითი სინდრომი, რომელიც ვითარდება კორონავირუსის მწვავე ფაზის გადატანის 4-6 კვირის შემდეგ. როდესაც ჩვენ ვაფიქსირებთ, რომ იანვრის ბოლოს და თებერვლის დასაწყისში საქართველოში იქნება მეექვსე ტალღის პიკი, მოლოდინი გვაქვს, რომ მარტის თვე იქნება გამორჩეული პოსტკოვიდური გართულებების მხრივ. მარტში ველოდებით მიმართვიანობის ზრდას მულტისისტემური ანთებითი სინდრომით. ამ პაციენტების მართვა შესაძლებელია მხოლოდ სტაციონარებში“, - აცხადებს ჩხაიძე. თბილისის ინფექციური საავადმყოფოს ბოქსირებული განყოფილების ხელმძღვანელი, მარინა ენდელაძის განცხადებით კი, ამჟამად, არ ჰყავს მძიმე პაციენტი, რომელსაც კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა აქვს გაკეთებული. „განყოფილებაში ახლა 30 პაციენტი ნევს და კიდევ რამდენიმე ადგილი გვაქვს. დაინფიცირებულების ასეთი რაოდენობის პირობებშიც კი, ჰოსპიტალური სექტორი ძალიან გადატვირთული არ არის, მაგრამ ამ 30 პაციენტიდან, 2/3-ზე მეტი მძიმეა. მძიმე პაციენტთა უმეტესობა აუცრელია, აცრილები საშუალო სიმძიმის არიან. ყოველ შემთხვევაში, ამჟამად, აცრილი და დამძიმებული პაციენტი არ გვყავს“, - აცხადებს მარინა ენდელაძე. \*\*\* ჯანდაცვის ცენტრის ცნობით, დადოფლისწყაროში კოვიდ ვითარება კვლავ მძიმეა. 4 თებერვლის მონაცემებით პანდემიის დაწყებთან შედარებით დადოფლისწყაროში ინფიცირების 5619 შემთხვევაა. დღეისათვის აქტიური 418 შემთხვევაა, სტაციონარში მკურნალობს 34 ადამიანი. სამწუხაროდ, დაფიქსირდა გარდაცვალებების 69 ფაქტი. მათ შორის 2022 წელს გარდაიცვალა 7 ადამიანი. პირველი თებერვლიდან დადოფლისწყაროში 265 შემთხვევა დადოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მთავარი ეპიდემიოლოგი ლალი ალადაშვილი მოსახლეობას სიფრთხილისკენ, რეგულაციების დაცვისა და პაციენტების სიფრთხილისკენ მოუწოდებს. მამაზადა ინგა შიოლაშვილი

### სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ელექტროენერჯისა და წყლის გადასახადის სუბსიდირება განხორციელდება

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ელექტროენერჯისა და წყლის გადასახადის სუბსიდირება განხორციელდება. შესაბამისი დადგენილება მთავრობამ უკვე გამოცხადა.

დადგენილების საფუძველზე, 70 000 ან ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახებს სახელმწიფო მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურს დაუსუბსიდირებს. სუბსიდირების თანხა შეადგენს 2020 წლის დეკემბერში შესაბამის საფასურზე მოქმედ საბოლოო მოხმარებლის ტარიფსა და 2015 წლის ივლისში მოქმედ სამომხმარებლო ტარიფს შორის სხვაობას და დამატებით 2022 წლის იანვარსა და 2020 წლის დეკემბერში მოქმედ ტარიფებს შორის სხვაობას 1 კვტ/სთ-ზე 3,5 თეთრის ოდენობით. აღნიშნულ დახმარებას იღებენ თბილისში რეგისტრირებული 70 000 სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახები. ამასთან, მთავრობა განახორციელებს ყოველთვიურად მოხმარებული არა უმეტეს 200 კვტ/სთ ელექტროენერჯის საფასურის სუბსიდირებას, 1 კვტ/სთ-ზე 3,5 თეთრის ოდენობით, 2022 წლის პირველი იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდისათვის რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა 70 000-დან 150 000-მდეა, გარდა თბილისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახებისა. ასევე სუბსიდირება განხორციელდება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 2022 წლის 1 აპრილიდან 2022 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით რეგისტრირებული ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა 70 000-დან 150 000-მდეა და მონაცემთა ბაზის მიხედვით ცხოვრობენ თბილისში. სუბსიდირება არ ვრცელდება იმ აბონენტებზე, რომლებიც სარგებლობენ „აბონენტების მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერჯის ყოველთვიური საფასურის ანაზღაურების შესახებ“ დადგენილებით გათვალისწინებული შეღავათებით.

ამასთან, 2022 წლის იანვრიდან 2022 წლის დეკემბრის ჩათვლით რეგისტრირებული ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა 70 000 ან ნაკლებია და ცხოვრობენ თბილისში, რუსთაველი ან მცხეთაში, განხორციელდება სასამელო წყლის საფასურის სუბსიდირება, არა უმეტეს 100 ლარისა.

### „მინდა, საქართველოს სახელით გამოვხატო ჩვენი სრული სოლიდარობა მეგობარი უკრაინის მიმართ“

„ამ ძალიან დაძაბულ ვითარებაში მინდა, რომ საქართველოს სახელით გამოვხატო სრული სოლიდარობა ჩვენი მეგობარი უკრაინის მიმართ“, - ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, პოლონეთის პრეზიდენტი ანდჟეი დუდასთან ერთად გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

როგორც ზურაბიშვილმა აღნიშნა, საფრთხეები არა მხოლოდ უკრაინას, არამედ მთლიანად ევროპის უსაფრთხოებას ემუქრება.

„ბატონო პრეზიდენტო, პირველ რიგში, ნება მიბოძეთ, რომ მადლობა მოგახსენოთ იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ ხართ ჩვენი სტუმარი საქართველოში. იცოდეთ, რომ ყოველთვის ვართ ძალიან გახარებული თქვენი აქ ჩამოსვლით. ძალიან მნიშვნელოვანია დღეს, რომ ჩვენ მოგვეცა საშუალება, გავცვალოთ ინფორმაციები იმ ძალიან რთული ვითარების შესახებ, რაც დღეს რუსეთის მხრიდან არის უკრაინის მიმართ აგრესიის სახით გამოხატული.“

აგრესიული ქმედებები, მუქარა, იქნება ეს კიბერშეჭევები თუ პირდაპირ სამხედრო ძალების უზომოდ გაზრდა უკრაინის საზღვარზე, იგივე სამხედრო ძალების გააქტიურება შავ ზღვაზე, ყველაფერი არის ნიშანი იმის, თუ რამდენად არის გადასული პროვოკაციაზე რუსეთის დღევანდელი პოლიტიკა, რაზეც მთელი ევროპული, დასავლური სამყარო პასუხობს მოლაპარაკებებით, მცდელობებით, რომ დარეგულირდეს ეს მდგომარეობა და დეესკალაციისკენ წავიდეს დაძაბული ვითარება, მაგრამ დეესკალაციისთვის, როგორც მშვიდობიანი მოლაპარაკებებისთვის საჭიროა, რათა ორივე მხარე მზად იყოს.

ამ ძალიან დაძაბულ ვითარებაში მე მინდა, რომ საქართველოს სახელით გამოვხატო სრული სოლიდარობა ჩვენი მეგობარი უკრაინის მიმართ და არა მხოლოდ უკრაინის მიმართ, რამეთუ ის საფრთხეები, რაც არსებობს, რეალურად არის საფრთხეები, რომელიც ემუქრება მთლიანად ევროპის უსაფრთხოებას და თუ ვლადპრაკობთ ევროპის უსაფრთხოებაზე, ეს ასევე არის ჩვენი უსაფრთხოება.

ჩვენი სოლიდარობა, სხვათა შორის, არ არის მხოლოდ სიტყვიერი სოლიდარობა, ეს არის სოლიდარობა იმ ქვეყნიდან, რომელმაც უკვე განიცადა და რომელიც დღემდე განიცდის ოკუპაციას და ამიტომ ჩვენ კარგად გვესმის, თუ რას გრძნობს დღეს უკრაინელი ხალხი და ჩვენ ამას მთლიანად ვიზიარებთ“, - განაცხადა ზურაბიშვილმა.

ინფორმაციისთვის, პოლონეთის პრეზიდენტი პეკინში მიემგზავრება. ის საქართველოში რამდენიმე საათით შეჩერდა.

### „ძალიან მნიშვნელოვანია ის თუ რა ხორციელდება უკრაინის ტერიტორიაზე“

„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის, თუ რა ხორციელდება უკრაინის ტერიტორიაზე - მქონდა შეხვედრები სხვადასხვა პრეზიდენტებთან, ასევე ჩინეთის პრეზიდენტთან, გაეროს წარმომადგენლებთან, საფრანგეთის პრეზიდენტთან და მინდა აღვნიშნო, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენი ერთობლივი ქმედება“, - განაცხადა პოლონეთის პრეზიდენტმა, ანდჟეი დუდამ საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილთან ერთობლივ ბრიფინგზე.

მისი თქმით, უკრაინის საკითხთან დაკავშირებით შეხვედრები კვლავ გაგრძელდება და ორმახანა მორიგი შეხვედრები გაიმართება.

„მადლობა ქალბატონო პრეზიდენტო იმისთვის, რომ მომეცა შესაძლებლობა, ჩამოვსულიყავი თბილისში, იმისთვის, რომ მომეცა შესაძლებლობა, გამეზიარებინა ჩემი ცოდნა და ინფორმაცია არსებული სიტუაციის შესახებ. რა თქმა უნდა, ეს არ არის მხოლოდ ევროპის საქმე, ეს არის მთელი მსოფლიოსთვის მნიშვნელოვანი საკითხი. მე მქონდა შეხვედრები სხვადასხვა პრეზიდენტებთან, ასევე ჩინეთის პრეზიდენტთან, გაეროს წარმომადგენლებთან, საფრანგეთის პრეზიდენტთან და მინდა აღვნიშნო, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენი ერთობლივი ქმედება. ასევე მინდა, აღვნიშნო, რომ ორმახანა დაგეგმილია შეხვედრა და კონსულტაციები ამ საკითხთან დაკავშირებით.“

თქვენ ერთი მხრივ ხართ უკრაინის აღმოსავლეთი მხარე, ჩვენ კი ძალიან ახლოს ვართ უკრაინასთან. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის, თუ რა ხორციელდება უკრაინის ტერიტორიაზე. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ განხორციელდება კონსულტაციები მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. მე ასევე მაკავშირებს განსაკუთრებული გრძნობა და მეგობრული ურთიერთობა თქვენთან, რადგან საქართველო ზუსტად არის ის ქვეყანა, სადაც 2008 წელს ჩამოვიდა ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი. ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს“, - განაცხადა პოლონეთის პრეზიდენტმა.

### ნავთობიმპორტიორთა კავშირი საწვავის ფასის ზრდას გარდაუვლად მიიჩნევს

ბენზინის ფასი 2022 წლის იანვარში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 37,05%-ით არის გაზრდილი, დიზელი კი - 32,21%-ით არის გაძვირებული. ამის შესახებ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებიდან ირკვევა.

პარალელურად სანავთობის ფასი იზრდება მსოფლიო ბაზარზეც. ნავთობ იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე, ვანო მთვრალაშვილი, რადიო „პალიტრასა“ და „პალიტრანისუსის“ გადაცემაში „საქმე“ ამბობს, რომ სანავთობის ფასი კიდევ გაიზრდება, პროცესს კი ლარის გამყარება აჩერებს.

მისივე თქმით, მსოფლიო ბაზარზე ნავთობის გაძვირების მასშტაბის ასახვას ხელი ქართული კომპანიების მიერ დეკემბერში გაკეთებულმა დიდმა მარაგებმაც შეუშალა.

„ნავთობის ფასი 2014 წლის ოქტომბრის შემდეგ ახლა ყველაზე მაღალ მაჩვენებელზეა. უფრო ზუსტად, პლატცის მიხედვით ბენზინის და დიზელის ფასი წლის დასაწყისიდან დაახლოებით 100 დოლარით გაიზარდა, რაც 14-15%-იანი მატებაა. გამოდის, ერთი მხრივ ჩვენ გვაქვს საერთაშორისო ბაზარზე ფასების მატება, მაგრამ ქვეყნის შიგნით, ლარის გამყარება იწვევს პოზიტიურ დინამიკას. ეს ორი შემადგენელი ნამდვილად ძირითადია ფასში.“

ახლა კორექტიულიც არ იქნება იმაზე საუბარი, თუ რა მოცულობით და როდის გაიზრდება სანავთობის ფასი, რადგან კომპანიებს იმპორტის ინდივიდუალური რეჟიმი აქვთ. მიმდინარე ეტაპზე იმპორტი გაზრდილი ფასით შემოდის და როცა ბაზარი ახალი ფასით ნაყიდი სანავთობით გაჯერდება, ფასი ცხადია გაიზრდება. ბიზნესს სხვა მოცემულობა არ გააჩნია. მიმდინარე ეტაპზე ყველაზე იდეალური იქნება, რაც შეიძლება დიდხანს შენარჩუნდეს არსებული ფასები.

მიმდინარე ეტაპი უფრო მოლოდინის რეჟიმი, თუ ლარის გამყარება ისეთივე შეუქცევადი ტემპით გაგრძელდა, როგორცაა ჩვენ ვაკვირდებით, ეს დადებითი მოვლენა იქნება და ფასის ზრდის წნეხს შეამცირებს.

ნებისმიერ ქსელურ სადგურს აქვს 10-20-დღიანი ნაშთი მარაგების სახით. უბრალოდ, დეკემბერში, გამომდინარე იქედან, რომ იანვრის დიდი ნაწილი როგორც სხვა, ასევე ნავთობ ინდუსტრიისთვისაც დასვენების დღეებია, ხდება პროდუქტის მომარაგება. ისე მოხდა, რომ დეკემბერში გაცილებით დაბალი ფასები იყო, ვიდრე 2022 წლის დასაწყისიდან დღემდე და შესაბამისად, ნავთობიც ამ, დაბალ ფასში აქვთ ნაყიდი ქართულ კომპანიებს. ამასთან, იანვარში მოხმარებაც ნაკლები იყო და ეს ასტაბილურებს დღეს ფასებს, მაგრამ ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება“, - განაცხადა ვანო მთვრალაშვილმა.

ინფორმაციისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ნავთობიმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარის თქმით, სანავთობის ფასის მატება ჯერ საქართველოზე არ ასახულა, ფასის მატებით, ბენზინი და დიზელი სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით იანვრის 20 ყველაზე გაძვირებულ პროდუქტებს/საქონელს შორის მოხვდა.

„სოკარის“ ავტოგასამართ სადგურებზე დღეის მდგომარეობით, 1 ლიტრი „პრემიუმის“ ფასი — 3.18 ლარია; „რეგულარი“ — 3.09; სუპერი — 3.26; ევრო-დიზელი კი 3.12 ლარი ღირს. რაც შეეხება დიზელს, მისი ფასი 3.04 ლარია.

„ვისოლის“ ავტოგასამართ სადგურებზე კი „დიზელენერჯის“ ფასი — 3.10 ლარს შეადგენს; „ეკო დიზელის“ ტიპის სანავთობის ფასი — 3.19 ლარია. „ეკოპრემიუმის“ და „ევრო რეგულარი“ დღეის მდგომარეობით, 3.20 და 3.12 ლარი ღირს; „ეკო სუპერის“ ფასმა კი 3.30 ლარი შეადგინა.

„გალფის“ სადგურებზე, 1 ლიტრი „G-Force პრემიუმის“ ფასი 3.23 ლარია; „G-Force ევრო რეგულარი“ — 3.19 ლარი ღირს; 1 ლიტრი „რეგულარის“ ფასი — 3.13; ხოლო „სუპერის“ ფასი 3.33 ლარია. რაც შეეხება ევროდიზელსა და G-Force ევრო დიზელს, მათი ფასი 3.12 და 3.19 ლარია.

დღეის მდგომარეობით, „ლუკოილის“ ბენზინგასამართ სადგურებზე, „პრემიუმ ავანგარდი“ - 3.17 ლარი ღირს, „ევრო რეგულარი“ - 3.07 ლარი ღირს; „ევრო დიზელის“ ტიპის სანავთობი - 3.12 ლარი ღირს, „სუპერი ecto-ს“ ტიპის სანავთობი — 3.30 ლარი; სუპერი ecto 100-ს კი — 3.60 ლარია.

რაც შეეხება „რომპეტროლის“ ავტოგასამართ სადგურებს, დღეის მდგომარეობით, „efix ევროდიზელის“ ფასი — 3.19 ლარია; 1 ლიტრი „ევროდიზელი“ - 3.15 ლარი ღირს; რაც შეეხება სხვა ტიპის სანავთობს, „ევრო პრემიუმის“ — 3.21 ლარი; „ევრორეგულარის“ ტიპის სანავთობი - 3.13 ლარია; ხოლო „სუპერის“ ტიპის სანავთობი 3.33 ლარი ღირს.



### რა თანხა გადაიხადა სათამაშო ბიზნესმა ბიუჯეტში 2021 წელს

ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული, ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების (კონსოლიდაციის გარეშე) მიხედვით, 2021 წელს აზარტული თამაშებიდან ბიუჯეტში, ჯამში 78,406 მლნ ლარი შევიდა, აქედან სისტემურ ელექტრონული ფორმის თამაშებზე (ონლაინ კაზინოები) 12,133 მლნ ლარი მოდის.

ამავე მონაცემების მიხედვით, 2020 წელს სათამაშო ბიზნესიდან ბიუჯეტში 19,261,560 ლარი შევიდა (შეგახსენებთ, ობიექტები დახურული იყო), აქედან 12,461 მლნ ლარი ონლაინ თამაშებიდან.

რაც შეეხება პანდემიამდელ, 2019 წელს, სათამაშო ბიზნესმა ბიუჯეტში 128,401 მლნ ლარი გადაიხადა, აქედან 12,411 მლნ ლარი ონლაინ თამაშებზე მოდიოდა.

# ვაშლოვანის ნაკრძალის შემოსავალი გაიზარდა

ვაშლოვანის ნაკრძალის გასული წლის შემოსავლები გაიზარდა და 2018 წლისას გაუთანაბრდა. დედოფლისწყაროს დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ პირველად გაიზარდა ნაკრძალში ვიზიტორთა დარჩენის ხანგრძლივობა. როგორც ჩანს, ქართველი და უცხოელი სტუმრები პანდემიის პერიოდში ველურ ბუნებაში დასვენებას ამჯობინებენ. გენდერული მარჯვენაგანი ყოველწლიურად თითქმის თანაბარია, ოდნავ აღემატება მამაკაცები.

როგორც ადმინისტრაციაში განმარტავენ, 2021 წელს ნაკრძალს 4053 სტუმარი ჰყავდა, რომელთაგან 2934 ქართველი, 1119 კი უცხოელი იყო. 2020 წელს 1852 ვიზიტორი ეწვია, რომელთა შორის 1574 ქართველი, 278 უცხოელია. ეს იმითაა გამოწვეული, რომ პანდემიის დაწყების პირველ წელს ქვეყნებს შორის მიმოსვლა ყველაზე მეტად შეფერხდა. ყველაზე დატვირთული თვეები იყო აპრილი და მაისი. მაისში მათ 1084 სტუმარი მიიღეს, აპრილში კი 821. ხოლო, 2020 წლის ამავე პერიოდში, ნაკრძალი სტუმრებისთვის ორი თვით დახურული იყო.

სტატისტიკაში მოცემულია ქვეყნების ხუთეული. უცხოელ ვიზიტორებს შორის, რომელთაც დედოფლისწყაროს მონახულება გადაწყვიტეს, 2021 წელს გერმანია ლიდერობს, საიდანაც 241 ტურისტი გვეწვია. მას პოლონეთი მოსდევს - 218, ხოლო მესამე ადგილს აშშ იკავებს 93 ვიზიტორით. მეოთხე-მეხუთე ადგილებს ნიდერლანდები და ავსტრია იკავებს - 89 და 46 ტურისტით.

ქიზიყი.ჯი-ს ინფორმაციით, ვიზიტორთა 47% ნაკრძალს ოჯახთან ერთად ეწვია, 46% სამგებლო წრესთან ერთად. მხოლოდ 27-მა ადამიანმა (7%) გადაწყვიტა ვაშლოვანის ფლორისა და ფაუნის დასათვალისწინებლად მარტო წასულიყო. სტარბობს 26-35 წლის ასაკის სტუმრები, რომლებიც 42%-ს შეადგენდნენ. რაოდენ განსაკვირებელი უნდა იყოს, ასაკიანი ადამიანები ვაშლოვანში სტუმრობას ერიდებიან. ასეთი ექსპურსია 50-ს გადაცი-


ლებულ ადამიანებს შორის გასულ წელს მხოლოდ 17-მა გარისკა, უმრავლესობა უცხოელია. აქ ის გარემოებაცაა გასათვალისწინებელი, რომ შესაძლოა, გამოკითხვის ანკეტებს მეტწილად ახალგაზრდები ავსებენ და ასეთი მაჩვენებელი ამიტომ იყოს.

გამოკითხულთა 54% მიიჩნევს, რომ დედოფლისწყაროში დაცული ტერიტორიების მიერ შეთავაზებული ტურისტული მომსახურების ფასები საშუალოა, 31% აფიქსირებს, რომ დაბალია, ხოლო 15%-ისთვის ტარიფები მაღალი იყო. 56%-ს აქ არსებული ინფრასტრუქტურა მოეწონა, 30% ფიქრობს, რომ საჭიროებს გაუმჯობესებას, ხოლო 14%-ს მიაჩნია, რომ პარკში ცუდი ინფრასტრუქტურა დახვდა.

დედოფლისწყაროში ტურისტული მომსახურების ხარისხი რომ მაღალია და სტუმრები კმაყოფილი დარჩნენ, ამას გამოკითხულთა 71% აღნიშნავს. 25% წერს, რომ ხარისხი საშუალოა, 4% კი დაბალ შეფასებას აძლევს. შევსებული ანკეტების მიხედვით, სტუმართა 96% აფიქსირებს, რომ მომავალში სურვილი აქვს საქართველოს სხვა დაცული ტერიტორიებზე მოინახულოს.

„კოვიდ პანდემიის ფონს თუ გაეითვალისწინებთ, ჩვენთვის ცუდი სტატისტიკა არაა. მითუმეტეს, რომ 2021 წლის შემოსავლები გაუტოლდა 2018 წლის შემოსავლებს. ამდენს არც კი ვვარაუდობდით. მართალია ვიზიტორების რაოდენობა საგრძნობლად შემცირებული, მაგრამ, სამაგიეროდ, რამდენიმე დღიანი ვიზიტორების რაოდენობა გაიზარდა. ანუ, ადრე თუ საშუალოდ 2 დღეს ატარებდნენ პარკში, წელს პირველად იყო ტენდენცია, რომ მინიმუმ 3-4 დღით და მეტი ხნით რჩებოდნენ და ამის ხარჯზე გაზრდილი შემოსავალი,“ - აღნიშნავს ნინო სამუშიაძე, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების წარმომადგენელი.

გასულ წელს ვაშლოვანმა 64 245 ლარის შემოსავლის მიღება მოახერხა. ყველაზე მოთხოვნადი იყო ბუნგალოები, საიდანაც შემოსავალმა 21 480 ლარი შეადგინა, შემდეგ მოდის საკარავი - 10 570 ლარი, თევზაობა - 1 405 ლარი, რუკები - 1 281 ლარი.



სტუმართა 74%-მა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შესახებ ინფორმაცია ინტერნეტით მიიღო. 22%-მა ნაცნობ-მეგობრების პირადი რეკომენდაციით ისარგებლა, ხოლო 2-2%-მა ტურისტული სააგენტოებისა და სხვა გზებით. დედოფლისწყაროში 2020 წელს საშუალოდ 80 ობიექტი იყო, რომელიც ტურისტებს ემსახურებოდა. გასულ წელს კი მათი მაჩვენებელი 74-მდე შემცირდა. ძი-

რითადად საოჯახო სასტუმროებმა ძეგლ-ვიტეს სტუმრების მიღება. როგორც ჩანს, პანდემიის მიუხედავად ტურიზმის განვითარება დედოფლისწყაროში ალავლობის გზას დაადა, ორწლიანი შეზღუდვების პერიოდში ვაშლოვანში სტუმრების მიღება მხოლოდ ორი თვით იყო შეჩერებული, ისიც პანდემიის დაწყების პირველ თვეებში.

## როგორ შევინარჩუნოთ ახალგაზრდობა?

მსოფლიოში სულ უფრო მზარდი ხდება სიცოცხლის განახლებების მარაგის მოთხოვნა. ბამოცდომი მცენარეთა ჯგუფი უამრავ პრაქტიკულ მუშაობას, მათ შორის ძალიან აქტუალურია პლასტიკური ქირურგია, რომელიც ადამიანის ბარბელს გაახალგაზრდავს. თუმცა, მედიკოსებიც აღიარებენ, რომ მხოლოდ ბარბელის ჩარევა ადამიანის ახალგაზრდობას დროებით უზარუნავს.

სად არის ადამიანების მარადიული ახალგაზრდობის საიდუმლო?-ის ის საკითხია, რომელიც კაცობრიობას უსსოვარი დროიდან აინტერესებს. ზღაპრებში უკვდავების წყალს ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია და ის სიცოცხლის ელექსირის სიმბოლოა. ოცდამეერთე საუკუნეში ადამიანთა ცნობიერებაში არსებულმა წარმოდგენებმა ხორცი შეისხა და მეცნიერების მოკავშირე გახდა. ერთ-ერთი კომპანია, რომელიც კოსმეტიკურ საშუალებებთან ერთად ფუნქციურ პროდუქტებსაც სთავაზობს მომხმარებელს, ჯენეს-გლობალია.

ამერიკაში დაბადებულმა კომპანიამ ხარისხიანი პროდუქტით სახელი გაი-

თქვა და უკვე 150-ზე მეტ ქვეყანაში ჰყავს მომხმარებელი. კომპანია „ჯენეს გლობალი“ ქართული წარმომადგენლები დედოფლისწყაროს ესტუმრნენ და საზოგადოების დაინტერესებულ ნაწილს ინფორმაცია „ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების სააგენტოს“ ადმინისტრაციულ შენობის საკონფერენციო დარბაზში გააცნეს.

ბიორბი შელია, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, კარდიოლოგი: „ადრე ასაკობრივი განსაზღვრებაც სხვაგვარი იყო, მაგალითად, მასსოვს, რომ ჩემს ბავშვობაში 40 წელი უკვე იმ ასაკად ითვლებოდა, როდესაც სიკვდილიც კი მიზანშეწონილ ფაქტად შეიძლება ჩაგვეთვალა. დოსტოვესკის „დანაშაული და სასჯელის“ ერთ-ერთი მთავარი გმირი, რომელსაც რომანის დასაწყისში კლავენ, სულ რაღაც 42 წლის ქალია. იმ დროს ეს ითვლებოდა უკვე ხანშიშესულად. დრო შეიცვალა და მან შეცვალა ბევრი რამე, მათ შორის ასაკის მიმართ დამოკიდებულებაც. თუმცა, დღეს ჩვენ არსებობა გვინებს სამყაროში, სადაც გარემო დაბინძურებულია. ეკოლოგიური სიტუაცია ძალიან ცუდად აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე, მის სიცოცხლისუნარიანობაზე. გახშირდა ონკოლოგიური დაავადებები.“

პირველ კურსზე სწავლისას ლექტორმა გვითხრა: „თქვენ კი არ განკურნავთ ადამიანებს, არამედ მიეხმარებით ორგანიზმს, რომ მან თავად გაიჯანსაღოს თავი“. ეს მართლაც ასეა. ჩვენთან აქტიულობა თვითაღდგენის, თვითმონესრიგების, თვითგანკურნების პროცესი. თუმცა, ამ ყველაფერს ხელის

შეწყობა სჭირდება, ჯანსაღი ცხოვრება სჭირდება. რას გულისხმობს ჯანსაღი ცხოვრება?-ის გულისხმობს რაც შეიძლება მეტად ვიყოთ სუფთა ჰაერზე, ვიკვებოთ ცოცხალი საკვებით, მეტი ფიზიკური აქტივობა და ფსიქოლოგიური მდგომარეობა გვქონდეს სტაბილური.

დღეს არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, ძალიან რთულია ჯანმრთელი ადამიანის პოვნა. არსებობს ნამალიც და არსებობს ფუნქციური პროდუქტიც, რომელიც ხალხში საკვები დანამატების სახელითაც ცნობილი. ნამალი არის ნივთიერება, როდესაც შექმნილია ახალი მოლეკულა, რომელიც მანამდე ბუნებაში არ არსებობდა, მაგრამ როდესაც შენ სვამ იმას, რაც ბუნებაში ისედაც არსებობს, უბრალოდ, ის ტექნოლოგიურად ისეა დამუშავებული, რომ შენ მოგანორონ უფრო კონცენტრირებული ფორმით ან ორგანიზმისთვის ადვილად შეთვისებადი სახით, ეს უკვე არის ფუნქციური პროდუქტი, რომელიც არ შეიცავს ახალ ქიმიურ შენაერთს.

დრომ მოიტანა და ყველანი ვხედავთ, რომ ადამიანი უბრუნდება ბუნებას. მაგრამ ისიც დადგინდა, რომ ადრე ფორთოხალი შეიცავდა ათჯერ მეტ „C“ ვიტამინს, ვიდრე ახლა, ხოლო ისპანახი ასჯერ მეტ რკინას, ვიდრე დღეს. ეს იმას ნიშნავს, რომ მინერალებით ორგანიზმის შესავსებად დღეს გაცილებით მეტი პროდუქტი უნდა მივიღოთ. ბუნებაში მიმდინარეობს ორი პროცესი: ბუნების დაბინძურება და გამოფიტვა. ამიტომ, საკვები დანამატის მიღება ორგანიზმს გამოფიტვისგან და გადაკვარებისგან იცავს. ფუნქციური პროდუქტის



მომხმარებელი იქცა ცივილიზებული სამყაროს კულტურად. გიორგი შელიამ ისაუბრა კომპანიის მიერ შექმნილი ფუნქციური პროდუქტების სარგებლობაზე და უპასუხა დამსწრეთა შეკითხვებს. დამსწრე საზოგადოებას აინტერესებდა, როგორ უნდა დარეგულირდეს ნამლისა და ფუნქციური პროდუქტის მიღება ნებისმიერი დაავადების დროს. გიორგი შელიას განცხადებით, ფუნქციური პროდუქტი მუშაობს ორგანიზმის გაჯანსაღებასა და აღდგენაზე. ის ეხმარება ნამალს დაავადების დამარცხებაში. ამიტომ ქრონიკული დაავადების დროს, ექიმის კონსულტაციის საფუძველზე, ნამლის მიღება არ უნდა შეიზღუდოს. პარალელურად უნდა მოხდეს ფუნქციური პროდუქტის მიღება! ჩემი 30-წლიანი გამოცდილების მანძილზე ბევრი ფაქტი ვიცი, როდესაც ექიმები ნამლებთან ერთად ფუნქციურ პროდუქტებს უნიშნავდნენ პაციენტებს. შეხვედრის დასასრულს მოისმინეს იმ ადამიანების ისტორიები, რომელთა ცხოვრებაც ჯენესის ფუნქციურმა პროდუქტებმა სასიკეთოდ შეცვალა.

მომზადდა  
ინგა შიოლაშვილი



# ინტუიცია და წინათგრძნობა - როგორც აზროვნების უმაღლესი ფორმა

რედაქციაში მამაკაცმა დარეკა და გაგვეცნო როგორც ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველი. საუბარში მან აღნიშნა, რომ კარგად იცნობდა „შირაჰის“ ფურცლებზე არსებულ რუბრიკებში დაბეჭდილ თითოეულ სტატიას და მოსწონდა ჩვენს მიერ შერჩეული თუ გამოქვეყნებული მასალა. სურვილი ჰქონდა გვესაუბრა იმ თემაზე, რაც მისთვის საინტერესო და ამოუხსნელ მოვლენას ეხებოდა. მოგვიყვა თავისი ცხოვრების ისეთი მომენტები, რაც ლოგიკურ ახსნას არ ექვემდებარებოდა. ეს ეხებოდა მის წინათგრძნობას, რისი მეშვეობითაც თავისი ოჯახის წევრები რამდენჯერმე ფატალური შედეგებისგანაც კი იხსნა. სურვილი გამოთქვა მოგვეჩიებინა მასალა ამ ამოუხსნელი ნიჭისა თუ მოვლენის შესახებ. ჩვენც დავინტერესდით ამ თემით და დავფიქრდით იმაზე, თუ რა არის წინათგრძნობა ან რა არის ინტუიცია? რა მსგავსება ან განსხვავება არსებობს მათ შორის?

გონიერება, ინტუიცია და წინათგრძნობა, ღვთისგან ბოძებული ნიჭია, რომელიც უნდა გამოვიყენოთ კეთილი მიზნებისთვისა თუ საკუთარი კეთილდღეობისთვის. არსებობენ მგრძობიარე ადამიანები, რომლებსაც განვითარებული აქვთ ინტუიცია და წინათგრძნობა, მაგრამ ისინი ვერ იყენებენ ამ ნიჭს, რადგან არ შესწევთ უნარი მოუსმინონ, შინაგან, საკუთარ ხმას. არიან ადამიანები, რომლებმაც იციან თავიანთი შესაძლებლობები, ბევრჯერ დარწმუნდნენ საკუთარ ძალებში, მაგრამ არ ყოფნით უნარი და ნებისყოფა პრაქტიკაში გადმოიტანონ ნაფიქრი. არსებობს ადამიანთა კატეგორია, რომელთაც აქვთ საყოფაცხოვრებო ლოგიკაზე დაფუძნებული ინტუიცია. არიან ადამიანები, რომლებიც დემონსტრირებას უკეთებენ თავიანთ ინტუიციას, საკუთარი თავის დასამკვიდრებლად.

ადამიანები, რომლებიც დარწმუნებულნი არ არიან საკუთარ წინათგრძნობაში, შეგრძნებები რჩება მხოლოდ ინფორმაციად. ისინი ვერ ახერხებენ საკუთარი წინათგრძნობის რეალიზებას. გონიერებას, ინტუიციას და წინათგრძნობას ახშობს აგრესია, ეჭვი და პატივმოყვარეობა.


ინტუიცია და წინათგრძნობა თითქმის ყველა ადამიანს აქვს, მაგრამ თუ ამას ყველაფერს, გონიერება არ ახლავს, ფუჭია ყველაფერი. ადამიანმა თავის ცხოვრებით უნდა დაგვანახოს, რომ გონიერება, ინტუიცია და წინათგრძნობა აზროვნების უმაღლესი ფორმაა.

მოდით ჯერ ზოგადად გადავხედოთ ამ ორი ტერმინის არსს:

**ინტუიცია** შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც შუალედური შედეგების უგულვებელყოფით სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი. ინტუიციური გადაწყვეტილება უმრავლეს შემთხვევაში შეიძლება წარმოიქმნას სპონტანურად და უეცრად მოგივიდეთ თავში. ინტუიციას არ აქვს ლოგიკური ახსნა და არ აქვს დამტკიცება. ადამიანი უბრალოდ გრძნობს, რომ არსებული პრობლემის ან საკითხის გადასაწყვეტად ინტუიციურად მიღებული პასუხი სწორი იქნება. ქალებს ინტუიციის გრძნობა უფრო აქვთ განვითარებული. ტყუილად კი არ ამბობენ, რომ კაცები ლოგიკურად აზროვნებენ და ქალები — ინტუიციურად. თუმცა „ჰაერიდან მოსული სტატისტიკური მონაცემების“ საფუძველზე უნდა ვალიართ — ხშირ შემთხვევაში ქალის ინტუიცია გაცილებით სჯობს კაცის ლოგიკას.

**თუმცა...**  
წინათგრძნობა შეგვიძლია მივიჩნიოთ ადამიანის უნარად (ფაქტიურად შინაგანი გრძნობა) ყველანაირი ახსნა—განმარტების გარეშე იმ მოვლენის შეგრძნება, რომელიც ჯერ არ მომხდარა. არ გქონიათ ოდესმე ცუდი /კარგი წინათგრძნობა? როდესაც ვერ პოულობდით უმიზეზო ფორიაქის, დაძაბულობის, ნერვიულობის ახსნას და ცოტა ხანში რაღაც ცუდი/კარგი ხდებოდა? მეც ხშირად მქონდა წინათგრძნობები და ეს ძირითადად ჩემი შვილის ჯანმრთელობას ეხებოდა. ელემენტალურ მაგალითს მოვიყვან: როდესაც ჩემი შვილი პატარა იყო და ამეკვიტებოდა ხოლმე ფიქრი ჩემი პატარის ჯანმრთელობის შესახებ, უმიზეზოდ ვინცები ფორიაქს და ვერაფრით ვიცილებდი ნეგატიურ აზრს, ზუსტად მაშინ აუცილებლად აუნევედა სიცხე და ხდებოდა ავად. მე არ მჯერა დამთხვევების...

«ქალები გაუცნობიერებლად ამჩნევენ ათასობით წვრილმან დეტალს, გაუცნობიერებლად აკავშირებენ მათ ერთმანეთთან — და ამას ინტუიციას უწოდებენ» - აგატა კრისტი



წინათგრძნობასა და ინტუიციას შორის არის ზღვარი და განსხვავება. ინტუიცია უფრო პირდაპირი ცოდნაა, წინათგრძნობა კი განსაკუთრებული უნარია იმის შეგრძნების, რაც ჯერ არ მომხდარა. ეწინააღმდეგებიან ესენი ერთმანეთს? არა მგონია. ინტუიცია თავის თავში შეიცავს წინათგრძნობას, რადგან ინტუიციას იგულისხმება მომავლის მომენტალური აღქმა.

ამის გარდა, წინათგრძნობა უფრო დაკონკრეტებული გრძნობაა: თქვენ გრძნობთ, რომ რაღაცა მოხდება. ინტუიცია უფრო ზოგადია და მისი დამხარებით შეგიძლიათ გამოიკვლიოთ თქვენი შესაძლებლობები, მომავლის ვარიანტები. წინათგრძნობა, როგორც წესი, ეკუთვნის კონკრეტულად რომელიმე მოვლენას (ან მოვლენათა ჯგუფს). ვთქვათ, თქვენ გაქვთ, წინათგრძნობა, რომ ხვალ ქალაქგარეთ არ უნდა წახვიდეთ. იცით, რომ რაღაცა ცუდი მოხდება. მეგობრები დაგცინიან: რა უნდა მოხდეს? მზეა, მშვენიერი ამინდია, მანქანის მძლოლი ფხიზელია, ქალაქთან ახლოს ვიქნებით, ადრე დავბრუნდებით... მოკლედ, გადაგარწმუნეს და თქვენც, „რა უნდა მოხდეს“ ან „საიდან შეიძლება ვიცოდეთ წინასწარ რა ხდება“ — ს იმედით მეორე დღეს მიდიხართ ქალაქგარეთ. და ბაც! შუა ტრასაზე მანქანა გაჩერდა, თქვენ მთელი დღე მოგინიათ მანქანაში ჯდომა და დახმარების დალოდება. ამ მომენტებში ხომ გაიფიქრებთ: რატომ არ ვენდე ჩემს წინათგრძნობას?! ასეთი ცხოვრებისეული მაგალითები ხშირად გადაგხდენიათ თავს და ამას, უმეტესობა მხოლოდ მოვლენათა ცუდ განვითარებას უწოდებს.

**როგორ არის შესაძლებელი წინათგრძნობის ან ინტუიციის განვითარება?**

ინტუიციის განვითარება ითხოვს აზროვნების „რეკონსტრუქციას“, სამყაროს ცოტა სხვა კუთხით აღქმას, მოითხოვს ენ რეალობის ინტუიციური აღქმის უნარის განვითარებას. რეალურად ინტუიციის გაზომვა ძალიან

ძნელია, ლოგიკური ტესტებისა და ცდების ჩატარება შეიძლება შეეხოს ინტუიციური ცოდნის მხოლოდ დამტკიცებულ მხარეს, და ეს აისბერგის მხოლოდ წვერია. წინათგრძნობის შემონახვა ძალიან ადვილია: ან ახდება ან არ ახდება. (თუ კონკრეტულ მოვლენას ეხება თქვენი ინტუიცია). თუმცა ესეც ეხება მხოლოდ ხილვად ეფექტებს და შედეგებს. მაგრამ იბადება კითხვა, რა უყუოთ იმ წინათგრძნობას, რომელიც ახდებოდა, რომ არ მომხდარიყო კიდევ რაღაც, ზედმეტი ფაქტორი რომ არ ჩარეულიყო? ისინი როგორ უნდა გაგზომოთ? დავუბრუნდეთ წინათგრძნობის განვითარებას. როგორ ფიქრობთ, ის თავისთავად ვითარდება თუ არა? წინათგრძნობის განვითარება შესაძლებელია ცნობიერების ამაღლებითა და ყოველდღიური ცხოვრებისათვის უფრო ყურადღებით თვალყურის დევნებით. არ არის აუცილებელი, რამე სპეციალურად გააკეთოთ, რომელიმე მოვლენაზე კონცენტრაციის გაჩერება უფრო დაგაბნევთ, ეს აჩერებს გრძნობის განვითარებას, რადგან სიტუაციის შეფასებას სუბიექტურად იწყებთ. თქვენ ხომ გინდათ, რომ მოვლენა მოხდეს (ან არ მოხდეს) და უკვე ფიქრობთ, რომ თქვენი წინათგრძნობა ნამდვილია და სწორი მიმართულებით, თითოეული უკვე მიღებული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, თქვენ უფრო დაკვირვებული უნდა იყოთ.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ინტუიცია და წინათგრძნობა მომენტალურად ჩნდება და არ სჭირდება საათობრივი ფიქრი კონკრეტულ საკითხზე. თუ თქვენც გამოგიცდიათ ანაღაც მსგავსად შეხებინართ ამ საკითხს, დააკვირდით საკუთარ თავს, საკუთარ ბრძნობას და იძნებ ალმოაჩინოთ თქვენს თავში ძლიერი წინათგრძნობის ან ინტუიციის უნარი.

მომზადდა  
ხათუნა ბენაშვილმა





# თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურა ქართულად



### წიგნი შორეული

#### ბურჯანაძე შინაინის საზოგადოებრივი „ნაწიანები“

ასახული პრობლემა თითქმის ყველა თანამედროვე მოქალაქისთვისაა ნაცნობი. კომპიუტერული თამაშის გაცემის 17 წლის ვაჟთან მამა საერთო ენას დაკარგავს. მათი ურთიერთობა მსოფლიო დევილია. მოჯახური ტრადიციები, მძიმედ დაავადებული დედის დაღუპვა, ბიჭს კიდევ უფრო მეტად ჩაკეტავს თავის თავში. მამა ცდილობს დაეხმოს შვილს, ერთ დღესაც ბიჭი დაკარგავს კომპიუტერულ თამაშში გაცნობილ გოგონს და დახმარებისთვის მამას მიმართავს. სწორედ ამ დღიდან იწყება მამა-შვილის დაახლოება. მამა მზადაა შეიძინოს შვილი დაეხმოს, მთავარი ისაა, რომ მან შვილი დაიბრუნოს.

გერმანიულიდან თარგმნა

აინა პეტერ-მირიანაშვილი

გამოცემა გამოცემლობა იბისში 2021

ამ გვიდა წარმოგიდგინეთ 2021 წელს გამოცემული „იბისში“ გამოცემული 4 სახლი წიგნი. წიგნები გამოიცა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

### წიგნი პირველი

#### სარა მანჯაიმერი „მედიანა“

ლიტერატურული ჯილდოს მფლობელი შვედი მწერალი ქალის კალამს ეპოქის, ნაწარმოებში პოეტურად გადმოცემული ბრძოლა ქალისა, რომელიც თავისი რაბუნის დასამორჩილებლად და ცხოვრების აზრის შესაქმნელად იბრძვის. არსებობს სახლი და, რაც მთავარია, ბიბლიოთეკა. მთხრობელი იუმორისტული ძიებით ცდილობს აღმოაჩინოს თავისი განათლების სიმწიფე, გადალახოს წიგნებისადმი გადაჭარბებული პატივისცემა და ავტორიტეტული მიზიდულობა. რომანის მთავარი გმირის ცხოვრების დიდი ნაწილი „ყუბუბის“ საფაროს დაკარგავს უნება. ის მოქმედებაზე უნდა გადავიდეს! ჩვენ გვპოვდება მთავარი გმირის ეგო სირთულეებზე მსოფლიო ლიტერატურასთან პირისპირ ბრძოლაში და, პარალელურად, გავვის დააპარკვით გამოწვეული მწუხარების ლაბა და პოეტურ აღწერას ვკითხულობთ.

შვედურიდან თარგმნა

ნათია მერაბაშვილი

გამოცემა გამოცემლობა იბისში 2021



### წიგნი მესამე

#### ააულუს პოზაბარაის რომანი „სიცოცხლის სიტკბოება“


არ გახლავთ მსოფლიო კრიმინალური ტრილერი. ესაა ისტორია ცხოვრებაზე, სიყვარულზე, სულიერ ტკივილებზე, იმ უფსკრულზე, რომელიც ადამიანი ვარდება, როცა სწორ გზას ახდებდა 2009 წელს ამ რომანმა ევროკავშირის ლიტერატურული პრემია მიიღო და დღეს ერთ-ერთ საუკეთესო პესტალებად ითვლება.

მოჯახი, გარემო, პოლიტიკურ-სოციალური თუ კულტურული მოვლენები, გაუცხოება, უსაზრისობა, თაობათა ურთიერთობა, მოჯახი, სიყვარული, მებოგრობა, სამსახური, ანგყო, მომავალი, სწორედ ამ თემებს უტრიალებს თანამედროვე ავსტრიელი მწერალი ააულუს პოზაბარაი თავის გახმაურებულ რომანში „სიცოცხლის სიტკბოება“.

გერმანიულიდან თარგმნა

აინა პეტერ-მირიანაშვილი


გამოცემა გამოცემლობა იბისში 2021



### წიგნი მეოთხე

#### ააულუს სტრინდბერგის „სიკვდილის ცეკვა“

არტილერიის კაპიტანი ედგარი და მისი მეუღლე, ყოფილი მსახიობი ალსა მრავალი წელი ერთად ცხოვრობენ ჩინში მესულ ქორწინებაში. ტანჯავენ, ებრძვიან ერთმანეთს და ეს მათი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. ერთმანეთისთვის ციხის მცველებად ქცეულან, არქაიკლავის კუნძულზე გამოწყვედულნი და იზოლირებულნი. თუმცა, მათი ნათესავი კურტი ჩამოღის ამერიკიდან სტუმრად, ჩინი ირღვევა და ოცდახუთწლიანი ქორწინების შემდეგ კიდევ უფრო მეტი სიციფე, სიზმარე, სიღატაკით სავსე სოფელი გადმოღის სამკარაოზე.



შვედურიდან თარგმნა

ნათია მერაბაშვილი

გამოცემა გამოცემლობა იბისში

მონატრება

ნელი გოგეჯიშვილი



11 თებერვალს დაბადებულს 11 თებერვალს გაიხსენებდა 40 დღე, რაც მარადისობაში გადაინაცვლე ჩემო კოლეგავ, ძვირფასო და სულიერო მეგობარო, სიკეთითა და სათნოებით გასხივოსნებულო, ერთგულო და საყვარელო ქალბატონო, გილოცავთ დაბადების დღეს. კოვიდ-19 მა დაშრიტა შენი დაუღალავი ენერჯია. სიცოცხლის ხალისი არასოდეს დაგიკარგავს, ენეოდი აქტიურ მოქალაქეობრივ ცხოვრებას. გვამხნევედი შენს გარშემო მყოფებს, გვახალისებდი და გვერდში გვიყენებდი. ბევრი გვექონდა მოსაგონარი, ტკივილისა თუ სიხარულის გასაზიარებელი, ვმეზობლობდით კიდეც. მოულოდნელად დაგვტოვე და ჩვენთვის შენსკენ მომავალი გზა გაქრა. მხოლოდ მოგონებები დარჩა. გულდასაწყვეტი და მტკივნეულია ასეთმა სმარაინამა, უკეთილმობილესმა ადამიანმა ასე უხმაუროდ, დამშვიდობების გარეშე რომ დაგვტოვე.

დატოვე ეს ქვეყანა, ბევრი საზოგადოებრივი თუ საოჯახო საქმეები დაგრჩა დასამთავრებელი. ნელი, შენ, რაიონის კულტურულ ცხოვრებაში დიდი საქმეების მკეთებელს, შენს ხელში დაფრთიანებულები, ყოფილი თანამშრომლები, თანაკლასელები, უახლოესი მეგობრები, ვისაც კი შენთან შეხება ჰქონია არასოდეს დაივიწყებს ნელი გოგეჯიშვილის სახელს და ავტორიტეტს. გვეჯერა, შენ მანდაც აქტიური იქნები და გააგრძელებ შენს საქმიანობას ამ ქვეყნიდან სასულ სახელოვან და აქტიურ კულტურის მუშაკებთან ერთად, რომლებიც გზას გაგიკვლევენ, მოგიხმობენ შეხვედრას. ახლა მანდ, შენს ახლობლებთან და კოლეგებთან ერთად იზეიმებ დაბადების დღეს, რომელიც უზომოდ გიყვარდა და ბავშვით გიხაროდა. გილოცავთ!

დასანანია, რომ 72 წლის ასაკში დაგვტოვე, გემშვიდობებით. ჩვენგან ანთებულმა სანთელმა უფლისკენ მიმავალი გზა გაგინათოს. უფაღს ებარებოდე.

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ და სამძიმარს ვუცხადებთ შვილებს ნინო, დავით პოპიაშვილებს, პატარა ანასტასიას დედის და ბებოს ნელი გოგეჯიშვილის გარდაცვალების გამო.

თანაკლასელი  
თამაზ ჯარნიშვილი,  
რძალი ანგელინა ლორაშვილი ოჯახით.

ირაკლი კიკილაშვილი



კიდევე ერთი კოლორიტი დაკარგა დედოფლისწყარომ. ირაკლი კიკილაშვილი - კომპოზიტორი, პიანისტი, უამრავი კომპოზიციებისა და მუსიკალური ნაწარმოებების ავტორი, მსახიობი, მომღერალი, საუკეთესო ლოტბარი. მრავალმხრივი შესაძლებლობებით დახუნძლული იყო მისი შრომითი ბიოგრაფია. მთელი შეგნებული ცხოვრება სხვადასხვა მიმართულებით კულტურის განვითარებას მიუძღვნა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

25 წლის განმავლობაში არბოსიკის სამუსიკო სკოლას ხელმძღვანელობდა და მრავალი თაობა აღზარდა. იყო დედოფლისწყაროს კულტურის სახლთან არსებული ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელი, ვაჟთა ვოკალურ ანსამბლ „ხორნაბუჯის“ ხელმძღვანელი.

ერთგული მეგობარი, გამორჩეული თვისებების მქონე საუკეთესო თანამშრომელი დაკარგა კულტურის ცენტრმა, სადაც სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მუშაობდა. ვიზიარებთ ოჯახის, მეგობრების, კოლეგების მწუხარებას.

ფოტოზე: 1975 წელი. კულტურის სახლის სცენა, წითელწყაროს სახალხო თეატრი, სპექტაკლი „ტირიფის ქვეშ“, ირაკლი კიკილაშვილი ბართლომეს როლში.

დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრი

მადლენა ყოჩიაშვილი, ეკა და მაკა აფციაურები მწუხარებას გამოთქვამენ

ირაკლი კიკილაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ მეუღლეს დარეჯან შანშაშვილს და შვილებს: თამუნა და რუსუდან კიკილაშვილებს.

კერძო კლინიკის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნანა თავაძეს დედის

ნათელა ნანობაშვილის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს N1 საშუალო სკოლის 1974 წლის კურსდამთავრებულები გულსტკივილს გამოვთქვამთ და თანაგრძნობას ვუცხადებთ თემურ, პალიკო, დარი და ნანა თავაძეების ოჯახებს ჩვენი კლასის დამრიგებლის და საყვარელი პედაგოგის

ნათელა ნანობაშვილის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს კულტურის სფერომ კიდევე ერთი დიდი დანაკლისი განიცადა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრი იუნყება, რომ კოვიდ ვირუსმა იმსხვერპლა კულტურის ღვაწლმოსილი მუშაკი ნელი გოგეჯიშვილი. ის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებას სამ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. მისი შრომითი ბიოგრაფია 1970-იან წლებში დაიწყო, კულტურის სამსახურს კი სათავეში 1972 წლიდან ჩაუდგა. იმ თაობამ, ქალბატონი ნელის ხელმძღვანელობით, დიდი ისტორია დაწერა.

ნადრევედ გამოგვაცალდა ყველაზე აქტიური, პოზიტიური და სიცოცხლეზე შეყვარებული ადამიანი, რომელსაც ასაკი სულაც არ ეტყობოდა. ამიტომაც, ყველასთვის მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო მისი გარდაცვალება.

მშვიდობით, ქალბატონო ნელი!... იძინეთ მშვიდად, ვალდობილი ნახვედით იმქვეყნად. მადლობა ყველაფრისათვის!

ა(ა)იკ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრი“



ოდითგანვე, დედოფლისწყაროში ტელევიზია თუ ჩამოდიოდა, რეპორტაჟებს თუ ამზადებდნენ და ეკრანზე ვხედავდით, ყველაფრის იდეის ავტორი, მასპინძელი თავად იყო ხოლმე. ადრეული ასაკიდან მასხოვს, ბევრჯერ მიხსახავს, (არა მხოლოდ კულტურულ თემებზე) საკუთარი ვიდეოკასეტითა და კამერით როგორ იყო ჩართული გადაღებების პროცესში.

ალბათ, 12 წლის ვიქნებოდი, ხაზის ტელეფონი ავკრიფე და კულტურის სამსახურში დავრეკე. თემა არ მასხოვს, სავარაუდოდ, დირექტორს მომავალ ჟურნალისტად გავაცნობდი თავს. ეს იყო ჩვენი პირველი კომუნიკაცია. ერთი შეხედვით, მას ეს მოზარდის სახუმარო ზარად უნდა მიეღო, მაგრამ სრული სერიოზულობით ვისაუბრეთ. მიმიპატიჟა კიდეც, მაგრამ მისვლას ვერ გავებედავდი. მოგვიანებით გავიგე, რომ ეს ამ ქალბატონის შინაგანი სამყარო ყოფილა, ყველასთან თანატოლი რომ ხდებოდა, დედობრივი მზრუნველობით რომ ეკიდებოდა და გზის გაკვალვებში ეხმარებოდა... პირველი კომუნიკაციიდან მხოლოდ ის შემორჩა ჩემს მეხსიერებას, რომ ქალბატონმა ნელიმ ჩვეული სიტოთი მკითხა: ანხორ მარტყოფლიშვილის რა ხარო?..

შემდეგ იყო 2005 წელი, პირველი შეხვედრა და ინტერვიუ. პრინციპული ხასიათის ძლიერი ქალბატონებს როგორც სრველიათ, პირველივე გამოკვეყნებულ სტატიაზე, თუ სათაურზე გამინახედა. კიდევე ერთხელ ვენვით კაბინეტში, დეტალურად გავიარეთ სტატია, შეუთანხმდით, რომ მისი აზრი არ არის დამახინჯებული, მაგრამ მაინც უკმაყოფილო იყო. მე კი დღემდე მგონია, რომ მისი მხარდამჭერი სტატია მომზადდა, სადაც მის ჩანაცვლებაზე ვსაუბრობდი. მკითხველმაც ასე გააგო, მაგრამ თავად რესპოდენტს ეს წყენა დიდხანს ახსოვდა და საჯარო შეხვედრებზე მეც ხშირად მახსენებდა.

ჩვენი პირველივე შეხვედრა წყენით დაიწყო, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, მეგობრები ვყოფილიყავით. მეპატიჟებოდა სხვადასხვა აქტივობებზე, მილოცავდა დღესასწაულებს და ისეთ პერიოდში კონტაქტობდა ჩემთან, როცა ხელისუფლების წარმომადგენლები გვერიდებოდნენ. ჩემთან ბევრჯერ უთქვამს: თუ ღონისძიება მედით არ გაშუქდება, გინდ ჩატარებულა გინდ არა, მაინც დაიკარგებაო, თუ პრესა ესწრება, ისტორიაში ჩაინერებაო. ამ დევიზით მოქმედებდა და ზედმინეწით ესმოდა ბეჭდური და ტელე მედიის ძალა.

2007 წელს დედოფლისწყაროში, გოდერძი გონაშვილის მარანში პურისა და ღვინის ფესტივალი ჩაატარა. აქაც მიმიწვია და მის სახლში გაშლილ მეორე განყოფილებაზეც... ვრცელი სტატია თბილისში გამომაგზავნა რამდენიმე გაზეთში გამოვაქვეყნე. მალევე საერთაშორისო ორგანიზაციიდან დამიკავშირდნენ, მისხნიდნენ, რომ სურდათ გოდერძი გონაშვილსა და ნელი გოგეჯიშვილთან დაკავშირება, რადგან ასეთ პიროვნებებს ამერიკაში სამი კვირის გასატარებლად ეპატიჟებოდნენ. დავაკავშირე, ანკეტები ჩემი ხელით გავუზავნე და ქალბატონი ნელი რამდენიმე ხანში აშშ-ს სიეტლის შტატში გაემგზავრა. იქიდან

დაბრუნებულს არც სიმბოლური საჩუქრების ჩამოტანა დავინყებია. ზოგადად, ყურადღებანი რომ იყო, ეს ცნობილია. აშშ-დან დაბრუნებული ყველგან აღნიშნავდა, რომ ჩემი სტატიის გამოხმაურების შედეგად გაემგზავრა და ამერიკულ გამოცდილებას დანახარჯების გარეშე გაეცნო.

„ობიექტივში“ გადაცემები რომ მიმყავდა, სტუდიაში ვერ „მოვიტყუე“, ყველაზე საინტერესო რესპოდენტი და მოსაუბრე იქნებოდა, თუმცა, არაფრით არ გამოდიოდა. იმხანად, ფიროსმანის მუზეუმის მმართველის თანამდებობიდან გაათავისუფლეს და, ალბათ, რთული პერიოდის ბრალი იყო, თოქ-შოუ „დედოფლისწყაროს საათში“ სტუმრობისგან თავს დიდხანს იკავებდა. შემდეგ წიგნი გამოსცა და ამ საბაბით მოვიდა სტუდიაში. მერე პატარა ჩანახატების რუბრიკის წამყვანობა შეეთავაზა და რამდენიმე საინტერესო ადამიანი ჩავენერეთ. ყველა მათგანი ეთერში გავიდა. თუმცა, ერთერთის, ჩანაწერი კომპიუტერული ვირუსის გამო დაზიანდა და დიდი ხნის განმავლობაში ვერც დამონტაჟებას ვახერხებდი, ვერც აღდგენას. ამაზე განწყენდა რესპოდენტიც და ქალბატონი ნელიც, რადგან ზუსტ პასუხს ვერ ისმენდნენ, რატომ გვიანდებოდა ჩანაწერი. სამწუხაროდ, ბევრი მცდელობისა და ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ეს ჩანაწერი ისე დაიკარგა, დღის სინათლეზე ვერ მოხვდა. მგონი ეს დღემდე არ უპატივბია ჩემთვის და ამ წყენასაც დღემდე ვგრძნობდი, მაგრამ ღმერთია მონმე, არაფერ შუაში ვარ... მას შემდეგ ეს გადაღებებიც აღარ გავგიგრძელებია...

ბოლო წლებში კულტურის სახლის შენობაში შემოსვლა ჩემთვის მძიმე იყო და ამის სურვილი არ მქონდაო - თქვა. ახლა კი, როცა მის ადგილას უკვე მე ვიყავი, ყველაფერი გადალახა, კაბინეტში მესტუმრა და წარმატებები მისურვა. მოდიოდა ღონისძიებებზეც, რამდენიმე ერთობლივადაც დავგეგმეთ. გულწრფელი რომ ვიყო, მასთან ურთიერთობის ყოველი წუთი სასიამოვნო და ბევრის მომცემი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალი წელია ოფიციალური სამსახური არ ჰქონია, სიცოცხლის ბოლომდე, არცერთი დღე არ გაჩერებულა. ყველანაირ ქალთა, თუ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან მეგობრობდა, მონაწილეობდა შეხვედრებში, სემინარებში, ჩამოჰყავდა სხვადასხვა საინტერესო ადამიანები, მართავდნენ შეხვედრებსა და ღონისძიებებს. უშრეტი ენერჯის წყარო იყო. არაფერი ჰქონდა ჯერ სასიკვდილო, მშვენივრად გამოიყურებოდა და არც ენერჯის სიმცირეს უჩიოდა...

მშვიდობით, ქალბატონო ნელი, დიდი მადლობა ყველაფრისთვის, რაც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისთვის გიკეთებიათ! 35 წელი მართო სამსახური, ეს მთელი ეპოქა...

ილია მარტყოფლიშვილი,  
დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორი.

ნაზი მოსაშვილი და ილიკო ბიკაშვილი ოჯახით მწუხარებით იუნყებიან უახლოესი მეგობრის ნელი გოგეჯიშვილის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის შვილებს დავით და ნინო პოპიაშვილებს.

# გაუქმებული „მწვანე პასპორტები“ და პანდემიის პირისპირ ზეზღუდვების გარეშე...



ამ დღეებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ კოვიდპასპორტების გაუქმების თაობაზე. კოვიდ პასპორტმა ვაქცინაციის ტემპებს დიდად რომ არ უშველა, ეს ცხადია. ჩვენთან კოვიდ პასპორტი მათაც ჰქონდათ, ვინც დიდი ხნის წინ გადაიტანა კოვიდი, არადა, ეს ხალხიც ძალიან სწრაფად ინფიცირდებოდა იმიტომ. ვაქცინის მთავარი ამოცანა არ არის (ით უფრო ომიკრონის პირობებში) ინფიცირებისგან დაცვა, ვაქცინის მთავარი ამოცანაა, ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა, ანუ გართულებების და სიკვდილის რისკის შემცირება და ამ მისიას აქვარად ასრულებს. ანუ ის ფაქტი, რომ ადამიანს კოვიდ პასპორტი აქვს, სულ არ ნიშნავს, რომ ის ინფექციის წყარო ვერ იქნება. კოვიდ პასპორტს ერთადერთი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონოდა ამჟამად ინფიცირებულების შემთხვევაში, რადგან მასში ჩანს, რომ ადამიანს ახლახანს დაუდასტურდა კოვიდი (ესეც მხოლოდ რეგისტრირებული შემთხვევის დროს და თანაც თუ პირი, რომელიც კოვიდ პასპორტს ამოწმებს, საერთოდ დააკვირდება ამას). ცოტა უცნაურია, რომ ზოგიერთი ადამიანი ნაზობს, აბა ვაქცინა რატომ გავიკეთე, თუ პასპორტი მაინც გაუქმდებოდაო. რეალურად ვაქცინაციას ადამიანზე კოვიდ პასპორტის მისაღებად კი არა, სტაციონარში მოხვედრის და უანგბადზე მიერთების რისკის შესამცირებლად უნდა იკეთებდნენ. ჩვენთან სიკვდილობის მაღალი მაჩვენებლის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ ზუსტად ის ხალხი ერთდებდა ვაქცინის გაკეთებას, ვისაც ყველაზე მაღალი რისკი აქვს გართულებების, ანუ ვისაც სხვადასხვა დაავადება აქვს. ჯანმრთელები უფრო აქტიურად იცვებიან და არა ისინი, ვისაც მეტი საჭიროება უდგას.

ვრცელდება ინფექცია, რომ მწვანე პასპორტები გაახანგრძლივდება ამ პროცესს დროში... ახლა კი, ჩემი აზრით, მოკლე დროში მიიღებვა ის ჯოგური იმუნიზაცია, რაც ვაქცინით ვერ გაკეთდა... შეზღუდვების ფონზე ახალი შემთხვევების კოლოსალური რიცხვი იყო მაინც, რომელიც აუტრელობის გამო მძიმედ მიმდინარებდა და სიკვდილიანობაც მაღალი იყო... მორიდან ეს შემთხვევა ვთქვა მხოლოდ... ჯანმრთელობას გისურვებთ ყველას!

ნა ბაშაშვილი, უფროსი რადიკალიზირებული მოსაზრება არ მაქვს, თუმცა, მგონია რომ არ იყო სწორი გაუქმების გადაწყვეტილება, უფრო სწორად, დიდ უპასუხისმგებლობად მიმაჩნია. ისედაც აუტრელობის სინდრომი ქვეყანაში და ანტივაქსერების დიდი რაოდენობა გვყავს. ამიტომ, მგონია, რომ ანტივაქსერობის ნახალი-სება იქნება მწვანე პასპორტების გაუქმება. დაავადებულების რიცხვი უფრო და უფრო იზრდება და ბუნებრივია, უფრო მეტად გაიზრდება, როდესაც ალარაბიური შეზღუდვა აღარ იარსებებს აუტრელებისთვის.

სალომე ნატროშვილი, იურიდიული და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა მკვლევარი - მწვანე პასპორტის გაუქმების აზრს ვერ ვხედავ. საერთოდ, ანტივაქსერული კამპანიის ფონზე, ვერაინარი შეზღუდვის მოხსნის, მათ შორის, ვერც ჯარიმების გაუქმების. თავისუფალი არჩევანზე საუბარი, ჩემი აზრით, აზრს მოკლებულია, ზომები (შემზღუდველი) უნდა ფასდებოდეს რისკების პროპორციულად. თავისუფლების ასოლუტური გაგება თავისთავად არასწორია. არ შეიძლება პასუხისმგებლობის გარეშე (სხვათა წინაშე) რაიმე სახის თავისუფლებაზე საუბარი. ეს ფრთიანი ფრაზა სრულიად დაცლილია ყველაინარო (ცოდნისგან, არა მხოლოდ ცივილისტური, მე მგონია, რომ საკრალური ცოდნისგანაც). ერთადერთი, რაც შეუვალი და აბსოლუტურია, რისი შეზღუდვაც დაუშვებელია, ესაა ღირსება. სხვა ყველაფერი, თავისუფლებისა და სიკვდილის ჩათვლით, ჩარევას, ესე იგი, შეზღუდვას ექვემდებარება. ლოგიკა, რომ მე ჩემი ჯანმრთელობის გამო ავიცრი და არაბარი მინიშნელობა არ აქვს, „მწვანე პასპორტი“ იქნება თუ არა, არ მესმის. დიას, პირველ ყოვლისა, ჩემ გამო ავიცრი, მაგრამ ასევე ჩემი ხანდაზმული ოჯახის წევრებისთვის, სხვა ადამიანებისთვის სამართის შესამცირებლად. მე მგონია, რომ ეს გადაწყვეტილება იმით კი არ იყო განპირობებული, რომ თავად დამშვება-არდაშვება კარგა-ეს აზრს, აღსრულებას პრობლემა იქნებოდა. ვინაიდან, როგორც ვაცხადებ, ტესტირება სავალდებულო აღარ არის. იმ შემთხვევაში, თუ აცრილი არ ხართ, გადაიტანეთ ომიკრონი და არც ბაზაში ხედვით, რისი ალბათობაც ახლა მაღალია, „მწვანე პასპორტის“ გარეშე რჩებით, იმუნიტეტის არსებობის შემთხვევაშიც. ალბათ ამ ხარვეზის აღმოფხვრას ემსახურებოდა ეს ნაბიჯი. მე მგონია, რომ უკვე მერამდენედ ზრდასრული მოსახლეობის 70%-ის აცრაზე საუბრის კვალდაკვალ, ასეთი ნაბიჯები უკიდურესად კონტროლდებულად და მოქალაქეების მოტივაციას უკარგავს, მოიქცნენ რაციონალურად - ისე, როგორც მათი და სხვათა ინტერესისთვის იქნებოდა უკეთესი. ვინაიდან ანტივაქსერული და რუსული პროპაგანდისტული ჯგუფებისა და მედია-საშუალებების ყიფი-ნა, რაც ძალიან, ძალიან იმედგაცრუებელია.

ირინა მირაბაშვილი, კაფე „პაუზის“ მფლობელი - მინდა გულწრფელად ვაღიარო, რომ ჩემთვის, როგორც ბიზნესის სფეროს წარმომადგენლისთვის, მხოლოდ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა, რადგან ყოველთვის ვიცავთ ნესებს და ვემორჩილებით არსებულ შეზღუდვებს. ზამთრის პერიოდში ისედაც ჭირს შემოპობა და კოვიდპასპორტებმა კიდევ უფრო გაართულა მდგომარეობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გაგებით ვეკიდებით ქვეყანაში არსებულ ეპიდემიოლოგიურ ვითარებას და მზად ვართ, ნებისმიერ სიახლეს სრული პასუხისმგებლობით შევხედო.

ნინო ჩოხელი, სოციალური დაცვის სააგენტოს სპეციალისტი - მწვანე პასპორტი ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემოღებული იქნა პანდემიის ეფექტური მართვისათვის და მოქალაქეების მიერ სერვისების შეუფერებლად მიღება-მინოდების მიზნით, უნდა ყოფილიყო იმუნიზაციის ტემპის გაუმჯობესება, ამ კანონმა იმუშავა 2 თვე, ამ ხნის განმავლობაში იმუნიზაციის ტემპი მაინც არ გაუმჯობესებულა, როგორც აცხადებენ, აცრილია მოსახლეობის 40% ე. ი. კანონმა ვერ იმუშავა და მწვანე პასპორტები გაუქმდა. კი ბატონო, მაგრამ რაღაც დაცვის მექანიზმი ხომ უნდა არსებობდეს. მე კანონმდებლის ქალი ვარ, ავიცრი 2-ჯერ, ახლა ბუსტერ დოზით ვაპირებ აცრას, რატომ არ იცრება ხალხი? მგონია, სხვადასხვა ინფორმაციების გამო არაა დაბნეულები, ვფიქრობ, აუტრელები სამომავლად არიან. ამიტომ, ჩემი აზრით, დაცვის მიზნით, რაღაც სხვა მექანიზმი შესამუშავებელი.

მასალა მოამზადა ელზა ხარაშვილმა

# რა ელის ბიზნესისთვის ჯერ კიდევ შემორჩენილ შეზღუდვებს?

საქართველოში „მწვანე პასპორტები“ ერთი ხლის მოსმით გაუქმდა. საქართველოს წარმომადგენლები მიღებული გადაწყვეტილებით კმაყოფილები არიან, თუმცა ამ ეტაპზე ბიზნესი ოფიციალური შეზღუდვებისგან სრულად ვერ კიდევ არ გათავისუფლდა. საინტერესოა, როდის გათავისუფლდება აპრკალაზა ობიექტებისთვის და როდის გათავისუფლდება სავაჭრო ალდგენას?

სავაჭროდ, რომ ეს დაახლოებით 1 თვის შემდეგ მოხდება. მიუხედავად იმისა, რომ ობიექტებს სტუმრების მიღება და ქორნილი, ქელეხების გამართვა შეუძლიათ, ოფიციალურად აკრძალვა მაინც არსებობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბიზნესს გზა სრულად გახსნილი ვერ კიდევ არ აქვს. საინტერესოა, თუ რას ფიქრობენ ბიზნესის წარმომადგენლები აკრძალვების გაუქმებაზე და როდის შეიძლება მოითხოვოს ბიზნესმა შეზღუდვებისგან სრულად გათავისუფლება? როგორც მცირე და საშუალო ბიზნესსაოციაციის ხელმძღვანელი მინიშნულ ქალი ამბობს, აკრძალვებისგან სრულად გათავისუფლება ვერ არ იგეგმება და ეს მოხდება ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით. „ჯერ-ჯერობით საუბარი არ არის იმაზე, რომ დარჩენილი ოფიციალური შეზღუდვები (ქორნილი, ქელეხები, კლუბები) მოიხსნას, რადგან ეს ხალხის სიმრავლესთან არის დაკავშირებული. მწვანე პასპორტების შემოღების ვერაულოდობით, რომ არ იმუშავებდა და ეს ასეც მოხდა, შემთხვევებმა მაინც მოიპოვა და ამიტომაც ძალიან კარგია, რომ დაეშვა. ამ ეტაპზე ბიზნეს სექტორშიც ჯერჯერობით საუბარი იმაზე არ არის, რომ შეზღუდვები ბოლომდე მოიხსნას. რა თქმა უნდა, თუ ეს თანხვედრით მოვა ვაქცინირებულების რაოდენობასთან და თუ დაავადებულებით სტანდარტულ პირობებზე, ეპიდემიოლოგიური იტყვიან, რომ გასაუქმებელია ყველა აკრძალვა და ჩვენც დავუთანხმდებით“, - თქვა ქალი. მწვანე პასპორტების გიური მდგომარეობა ყოველდღიურად მიიშვება, თუმცა ახალი შეზღუდვების შემოღებას არავინ აპირებს. ინფექციონისტები უკვე დაუფარავად ამბობენ, რომ „ომიკრონის“ შტამი მალე გადაივლის და მდგომარეობა დასტაბილურდება, რაც თავისთავად ბიზნესზე და ეკონომიკაზე დადებითად აისახება. მაშინ, როცა ქვეყანაში თითქმის არანაირი აკრძალვა აღარ მოქმედებს, ბიზნესი ვერ ისევ წნების ქვეშ არის მოქცეული. კლუბების გახსნამ მარტამდე გადაინია, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი თვე სტუმრების მიღებას კიდევ ვერ შეძლებენ, პარალელურად აკრძალულია ქორნილებისა და ქელეხების გამართვა გარკვეულ რაოდენობაზე მეტი სტუმრით. ფაქტია, რომ ქვეყანაში შეზღუდვები არსებობს, თუმცა ბიზნესსექტორი მაინც ახერხებს დიდი ღონისძიებების ჩატარებას. ეს კი იმას, ნიშნავს, რომ კერძო სექტორისთვის დანესებული შეზღუდვები მხოლოდ ფორმალურად ვაქცინაციის საკენ ნამდვილად არ უბიძგა, სანაცვლოდ კი ბიზნესი დაახარა. „კოვიდ პასპორტის გაუქმება სწორად მიმაჩნია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სისტემურად არასწორად იყო დაგეგმილი და მის განხორციელებასთან დაკავშირებული გვერდის პრობლემები. მსგავსი წარმწყობით ყველა ქვეყანაში, სადაც კი ის ვითარდა, ადამიანებს უბიძგებდნენ აცრისაკენ. ჩვენ კი ავდებით და იმის მაგიერ, რომ საზოგადოებისათვის მაქსიმალურად ვაქცინაციისკენ გვებიძგა გადაწყვეტით, რომ შეზღუდვა მხოლოდ მოგვეთხოვა კვების ობიექტებში. ამას მერე დავამატეთ ისიც, რომ მწვანე პასპორტის მფლობელი ხდებოდა ყველა ის ადამიანი ვისაც ჰქონდა გადატანილი. აქედან გამომდინარე, ვისაც აცრა არ სურდა, დაუშვებელი იმხელა ლაივების საშუალება, რომ ეს პროცესი კი არ ნახავალი-სეთ, პირიქით, აუტრელობის მხარდაჭერა გამოვდიოდა. პასპორტმა არ იმუშავა, იყო გაუმართლებელი და საერთოდ უმიზნო. მან ერთადერთი რაც „გააკეთა“ იყო ის, რომ სხვადასხვა ბიზნეს მიმართულებებს შეუქმნა პრობლემები და შეაფერხა ეკონომიკა. აღსრულების ნაწილშიც ვაქცინაციის დარღვევები, თუ კონტროლის მექანიზმები არ მუშაობს, გამოდის, რომ რეგულაციები არის ფორმალური. ამ ეტაპზე დიდი ღონისძიებების ჩატარების ნებართვა ალბათ უფრო სფეროს სპეციალისტების მსჯელობის საგანია, თუმცა ეკონომიკური მიმართულებით, რასაკვირველია, თუ ვაქცინის ისეთი რეგულაცია, რომელიც სინამდვილეში არ მუშაობს, ისიც არის გადასახდელი და გასაუქმებელი“, - აცხადებს პაატა ბაირახტარი.

შეგახსენებთ, რომ ჯერჯერობით კვლავ ძალიან შეზღუდვა ფართომასშტაბიანი გასართობი და ისეთი სოციალური ღონისძიებების გამართვასთან დაკავშირებით, როგორცაა, ქორნილი, ქელეხი, ბანკეტი, სხვადასხვა სახის ოუბლე და სხვ. მსგავსი ღონისძიებების მასშინდობისთვის კვების ობიექტებს თუ სხვადასხვა სარიტუალო დარბაზებს პირველ ჯერზე ეკისრებათ ფინანსური სანქცია 10 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო მსგავსი ქმედების განმეორებით განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ობიექტები იღუქება; კვლავ აკრძალულია ღამის კლუბების ფუნქციონირება როგორც ღია, ისე დახურულ სივრცეებში; სრულად იზღუდება ნებისმიერი ტიპის გასართობი, სახელმწიფო, საფესტივალური და კულტურული (გარდა სათეატრო და კინემატოგრაფიული ხასიათისა) ღონისძიება.

# კონკურსი სუფთა მუნიციპალიტეტის, სოფლის, უხნის, ეზოს გაოგავლენად

„მწვანეთა მოძრაობა“ დედამიწის მეგობრებისა და გარემოს დაცვის სამინისტროს ორგანიზებით და შედეგის ფინანსური მხარდაჭერით, იწყება ყოველწლიური კონკურსი - „სუფთა რეგიონი“. ქვეყნის მასშტაბით, უკვე მეექვსედ გამოვლინდება გამარჯვებული და მოხდება საჯარო დაჯილდოება. წინა წლებისგან განსხვავებით, ამჯერად ნომინაციების რაოდენობა გაზრდილია:

- „სუფთა მუნიციპალიტეტი“
- „სუფთა ქალაქი“
- „სუფთა სოფელი“
- „სუფთა ქუჩა“
- „ლაშაზი ეზო“
- „ლაშაზი აივანი“
- „ყველაზე სუფთა საწარმოს ეზო“

ამდენად, შესაძლებელი გახდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან ნარდგენილი იყოს როგორც ცალკეული სოფლების, ისე ქუჩების, ეზოების, აივანების, საწარმოს ეზოს ფოტოები. საკონკურსო ფოტოების მიღებას დედოფლისწყაროს კულტურის ცენტრი ახორციელებს. დედოფლისწყაროდან გაგზავნილი ფოტომასალები ქვეყნის მასშტაბით ნარდგენილი საკონკურსო ნამუშევრებისათვის ერთად განიხილება. სპეციალური კომისია ნომინაციების მიხედვით ფოტოების განხილვას და გამარჯვებულების გამოვლენას უზრუნველყოფს. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ როგორც გუნდურად, საწარმოებს, ორგანიზაციებს, სოფლებს უბნებს, ისე ინდივიდუალურად. თუ თვლით, რომ სუფთა ქუჩა, ეზო, ან სოფელი გაქვთ, გადაიღეთ ფოტო და გამოგზავნეთ მისამართზე kulturiscentri9@gmail.com, ან დარეკეთ: 593 275 275

# ულოცავთ! პალიკო გოგილაშვილს!

ჩვენო ძვირფასო ადამიანო, ჩვენო ბერძენი, დაბადების საიუბილეო 90 წლისთავს გლოცავთ. გისურვებთ კვლავაც მყარად და მხნედ იდგეთ ფეხზე და იცოცხლოთ ჩვენი გულების გასახარად, რომ დაეფასოთ შენი ამაგი და ზრუნვა, მოგაფეროთ და მაღალმოდ დავედოთ შენის სიკვდილით გამონგველ შენს მტკივან გულს. უფალი იყოს შენი შემწე. ძალიან გვიყვარხარ და გვეამაყები.

შვილი გოჩა, რაქლი ხათუნა, დევი: ლილი და მიჟოზა გოგილაშვილები, დისშვილი თამარი ნადირაშვილი ოჯახებით.

ამინდი		დედოფლისწყარო		სოფლისწყარო		პარასკევი		შაბათი		კვირა	
ორშაბათი 07.02	სამშაბათი 08.02	ოთხშაბათი 09.12	ხუთშაბათი 10.02	პარასკევი 11.02	შაბათი 12.02	კვირა 13.02					
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
7°	-6°	9°	-1°	13°	-1°	6°	-4°	7°	-4°	10°	-2°
გამომცემელი შპს „შირაქი“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი		სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანაშვილი (ურუნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა პოსტაშვილი (ბულაღერი); ნინაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზინა ქანაძე (საქმის მწარმოებელი).				რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფროსმანის №18, ტელ. 0 356 22 22-85; 598 72 18 72 (დირექტორი) 591 09 24 65 (რედაქტორი)		რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.			
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.		გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.									